თავი მეექვსე

მეწარმეობითი საქმიანობის ორგანიზაციის ფორმები საერთაშორისო ბიზნესში

კარლო იპოლოტეს ძე ღურწკაია
ემდ, სრული პროფ.
კარლო კარლოს ძე ღურწკაია
აკად. დოქტ. ასოც პროფ.
თათია ღურწკაია
აკად.დოქტ. ასოც პროფ.

მოკლე შინაარსი

- 6.1. *საერთაშორისო ბიზნესის ორგანიზაციის ძირითადი ფორმები;*
- *6.2. ტრანსეროვნული კორპორაციები;*
- *6.3. საწარმოთა აერთაშორისო ალიანსები*

კომერციული საქმიანობის მრავაწლიანი გამოცდილება უცხოურ ბაზრებზე ხელს უწყობდა საერთაშორისო ბიზნესის ორგანიზაციის სხვადასხვანაირ ფორმათა გამოჩენას. წარმოების საერთაშორისო კოოპერაცია, საკონტრაქტო და საქმიანი შეთანხმებები, თანამშრომლობისა და პარტნიორობის ურთიერთობები დიდწილად მსხვილი ბიზნესის მიერ გამოიყენება. ამიტომ ტრადიციულად საერთაშორისო ბიზნესის განხორციელების ძირითადი კლასიკური ფორმაა ტრანსნაციონალური კორპორაციები. მათი დივერსიფიცირებული საქმიანობა მსოფლიო ბაზრებზე, სტატისტიკური და ფაქტობრივი ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობა საშუალებას აძლევენ უჩვენოს მათი საქმიანობის მასშტაბი, გამოავლინოს განვითარების ძირითადი მახასიათებლები და ტენდენციები.

ბაზრების თანამედროვე კონიუნქტურამ, მათი რეგულირების ღონისძიებათა გამკაცრებამ, ვაჭრობის გამარტივების მექანიზმების იმავდროულმა შემუშავებამ გამოიწვია ფირმათაშორისო ურთიერთქმედებათა ახალი ფორმების - ერთობლივ საწარმოთა, სტრატეგიული ალიანსების და სხ. ახალი ფორმების ფართო გამოყენება. გარდა ამისა, ბაზრების რთულმა ტიპოლოგიამ და კონფიგურაციამ, ვიწრო ნიშების გამოჩენამ გამოავლინა მცირე და საშუალო ბიზნესის ფირმათა მოზიდვის მიზანშეწონილობა უწინარეს ყოვლისა სუბსაკონტრაქტო საქმიანობისადმი უცხოურ ბაზრებზე, რაც, თავის მხრივ, აძლიერებს წარმოების საერთაშორისო სპეციალიზაციას და აჩქარებს ტრანსნაციონალიზაციის პროცესებს. ზემოთ აღწერილი გარემოებები ააქტიურებენ საერთაშორისო კომერციული საქმიანობის ორგანიზაციის ფორმების განხილვას.

მეწარმეობითი საქმიანობის სამეურნეო და გეოგრაფიულმა გაფართოებამ ეროვნულ საზღვრებს მიღმა ბიზნესის ტრანსნაციონალიზაციის“ სახელწოდება მიიღო. ბიზნესის ტრანსნაციონალიზაციაში იგულისხმება სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ფორმა, რომელიც ვარაუდობს საერთაშორისო შიდასაფირმო და ფირმათაშორისი კოოპერაციის მექანიზმების გამოკვლევას. მისთვის დამახასიათებელია კაპიტალების გადახლართვა ახალი უცხოური და ერთობლივი კომპანიების შექმნის ხარჯზე, ფირმათა შერწყმებისა და შთანთქმების საერთაშორისო მექანიზმების რეალიზაცია, სხვა ხანგრძლივვადიანი კავშირების დამყარება ეროვნულ სტრუქტურებს შორის უცხო ქვეყნებში.

საერთაშორისო წარმოებრივი საქმიანობა გულისხმობს შემდეგი ორგანიზაციული ფორმების გამოყენებას:

- საზღვარგარეთული წარმოება;
- ცალკეულ კომერციულ ოპერაციათა აუტსორსინგი უცხოურ კონტრაგენტებზე;
- საერთაშორისო გაერთიანებათა შექმნა, რომელიც ახორციელებს ერთობლივ წარმოებრივ საქმიანობას.

შრომის საერთაშორისო დანაწილების გაღრმავებამ, კონკურენტული ბრძოლის გაძლიერებამ ქვეყნებს შორის ათასწლეულების ზღვარზე გამოიწვია მსოფლიო სუბიექტების ურთიერთქ-

მედებათა ახალი მექანიზმების ფორმირება. შეიცვალა საერთაშორისო ბიზნესის თვით მონაწილეთა სტრუქტურაც. მწვავე კონკურენციამ გამოიწვია წარმოების მომარაგებისა და გასაღების რაციონალიზაცია, შრომის მწარმოებლურობის ზრდა. აღნიშნული თვისებრივი ცვლილებები სწარმოებს უწინარეს ყოვლისა საერთაშორისო ბიზნესის ძირითადი სუბიექტის - საერთაშორისო კორპორაციების დონეზე. ტრანსნაციონალური კორპორაციები აფართოებენ თავიანთ საერთაშორისო ბიზნესს შეძენის ან საზღვარგარეთ ახალ კომპანიათა შექმნის, ერთობლივ საწარმოთა ორგანიზების გზით ან სხვა სახის გაერთიანებათა და ალიანსების ფორმირების წყალობით.

ჩვენს და უცხოურ ეკონომიკურ ლიტერატურაში[1] საერთაშორისო ბიზნესის, თანამშრომლობაზე და პარტნიორობაზე დამყარებულ თანამედროვე ორგანიზაციულ ფორმად მიიჩნევენ ალიანსებს, სტრატეგიულ ალიანსებს, საქმიან კავშირებს,ერთობლივ საწარმოებს, საერთაშორისო საწარმოებს[2].

ბიზნესის ფორმები განისაზღვრება ორი სახის შეთანხმებებით: საკონტრაქტოთი და წილობრივით. მათი სტრუქტურა ნაჩვენებია 6.1. ცხრილში.

წილობრივ შეთანხმებებს მიეკუთვნება კომპანიათა დაყოფა, შერწყმები და შთანთქმები. სტრატეგიული ალიანსების ფარგლებში მყარდება უფრო მჭიდრო ურთიერთობები, ვიდრე საკონტრაქტო შეთანხმებების დროს. ამასთან ახალი პროგრესული საკონტრაქტო შეთანხმებები სტრატეგიული ალიანსის სფერია. სამართლებრივი თვალსაზრისით სტრატეგიული ალიანსები იმყოფება პროგრესიულ საკონტრაქტო შეთანხმებებსა და თანამშრომლობას შორის, ახალი კომპანიის შექმნით.

მცირე ბიზნესი და განსაკუთრებით მცირე ინოვაციური ბიზნესი უმეტესწილად ინტერნაციონალიზდება. მას არსებითი წვლილი შეაქვს

ცხრილი 6.1. თანამედროვე საქმიანი შეთანხმებები[3]

შეთანხმების სახეობა	**ქვესახეობა**	**ფორმა**
საკონტრაქტო	**ტრადიციული საკონტრაქტო**	**საქონლის ყიდვა-გაყიდვა**
		ლიცენზირება
		ფრანჩაიზინგი
	ახალი პროგრესული ფორმები	**ერთობლივი სამეცნ-კვლევითი და საცდელსაკონსტრუქტორო სამუშაოები**
		მარკეტინგი
		სტანდარტიზაციის სამუშაოები
		სადისტრიბუტორო მომსახურებები
		წარმოება
წილობრივი	**ახალი კომპანიის შექმნის გარეშე**	**ალიანსი**
	ხალი კომპანიის შექმნის დროს	**დამოუკიდებ. ერთობ.საწარმოები ანუ ტნკ-ს შვილობილი კომპანიები**

[1] *იხ., მაგალითად: Солодков Г.П., Рубинская Э.Т., Рубинская Э.Д. Международный бизнес. Организация и управление. С. 144.*

[2] *Международные переплетения представляют собой совместное владение несколькими ТНК ценными бумагами друг друга.*

[3] *Солодков Г.П., Рубинская Э.Т., Рубинская Э.Д. Указ. соч. 160.*

არა მხოლოდ დასაქმების ამაღლებაში, სოციალურ და პოლიტიკურ სტაბილურობაში, არამედ ინოვაციური ძალაც ხდება, რომელიც კონკურენტუნარიანობას უზრუნველყოფს. მცირე მეწარმეობის ასეთი აღორძინება თავის გამოვლინებას პოულობს მის არსებით ზეგავლენაში ეკონომიკურ ზრდაზე.

საერთაშორისო ბიზნესის ორგანიზაციის შინაარსისა და სიდიდის მიხედვით განსხვავებულ ფორმათა გამოყენება ხელს უწყობს ფირმათა მიერ მრავალფეროვან სტრატეგიათა რეალიზაციას მსოფლიო ბაზრებზე. ამიტომ საერთაშორისო ბიზნესის რეალიზაციის აშკარა უპირატესობების დროს ტრანსეროვნულ კორპორაციათა ფორმით, უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ მცირე ბიზნესი და საკონტრაქტო შეთანხმებები.

6.2. ტრანსეროვნული კორპორაციები

თავდაპირველად საერთაშორისო კომპანიები შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო და მომპოვებელ დარგებში, მაგრამ 21-ე საუკუნის მიჯნაზე მათი უმეტესობა ფუნქციონირებდა მსოფლიო მეურნეობის მეორეულ და მესამეულ სექტორებში. თანამედროვე პერიოდში საერთაშორისო ბიზნესის ძირითადი ნაწილი ტრანსეროვნულ კორპორაციებზე მოდის. ისინი მრავალი ქვეყნის საზოგადოებრიობის მომატებულ ყურადღებას იქცევენ და ისეთსავე დიდ საფრთხეს იწვევენ, ვინაიდან მათი "იმპერიების" ჩარჩოებში ქვეყნიდან ქვეყანაში გადაადგილდება საქონელთა, კაპიტალის უდიდესი რაოდენობა, მიგრირებს სამუშაო ძალა და ასევე ხორციელდება ინტელექტუალური საკუთრებით ვაჭრობა და გაცვლა, რაც ზემოქმედებას ახდენს როგორც ეროვნულ ეკონომიკასა და პოლიტიკაზე, ისე კულტურაზე.

ისტორიულად ტრანსეროვნულმა კორპორაციებმა თავიანთ განვითარებაში რამდენიმე ეტაპი განვლეს და ამიტომ ისინი შეიძლება პირობითად ხუთ თაობად დავყოთ. **ტრანსნაციონალურ კორპორაციათა(ტნკ) პირველი თაობა** (მათი აღმოცენების პერიოდიდან 1918 წლამდე), ძირითადად სანედლეულო რესურსების შემუშავებით და მოპოვებით იყო დაკავებული აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის კოლონიურ ქვეყნებში და ასევე მათი გადამუშავებით კოლონიათა მფლობელ ქვეყნებში. ტნკ-ს წარმოად-გენდნენ კარტელები და სინდიკატები. **ტნკ-ების მეორე თაობა** (1918-1939) დასაქმებული იყო შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის წარმოებით ევროპის წამყვანი ქვეყნების, ამერიკის და იაპონიის საომარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ეს **ტნკ**-ები ჩამოყალიბდნენ ტრესტების სახით.

ტნკ-ების **მესამე თაობა** (1945-1960) ემყარებოდა სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევებს მეცნიერებისა და მრეწველობის უახლესი დარგების სფეროში (ატომური ენერგეტიკა, ელექტრონიკა, კოსმოსი, ხელსაწყოთმშენებლობა და სხ.). განვითარების მოცემული ეტაპის **ტნკ**-ები წარმოადგენდნენ კონცერნებსა და კონგლომერატებს. **ტნკ**-ების **მეოთხე თაობამ** ჩამოყალიბება იწყო 1970-1980-იან წლებში. სწორედ ამ პერიოდში დაჩქარდა შერწყმებისა და შთანთქმების პროცესი, რომლებმაც ხელი შეუწყო კაპიტალისა და წარმოების კონცენტრაციას ტნკ-ებში, რომლებიც ყველაზე უფრო წარმატებით ავითარებდნენ მსხვილ საერთაშორისო ბიზნესს. **ტნკ**-ების **მეხუთე თაობა** ვითარდება 21-ე საუკუნის დასაწყისში რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის დაჩქარებული პროცესების პირობებში, განსაკუთრებით ევროპაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში *(NAFTA* და *MERCOSUR)*, აზიაში (*ACEAH* და *ATEC*)[4].

იუნქტადის (გაეროს კონფერენცია ვაჭრობისა და განვითარების საკითხებზე) მონაცემებით, 2007 წლის ბოლოსათვის მსოფლიოში დაახლოებით 79 ათ. არასაფინანსო ტნკ იყო 790 ათ. საზღვარგარეთული ფილიალით[5]. 2009 წლის დასაწყისისათვის ისინი უკვე 85 ათ. და 809 ათ. იყო შესაბამისად[6]. უკიდურეს შემთხვევაში 650 სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული **ტნკ**-წარმოადგენს *პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების(**პსი**)* მძლავრ წყაროს. 2010 წელს 19 სახელმწიფო **ტნკ** მოხვდა უმსხვილესთა რიცხვში. თუკი თავდაპირველად სახელმწიფო **ტნკ**-ები ჭარბობდნენ მომპოვებელ მრეწველობაში, დღეს ისინი დივერსიფიცირდებიან და უკვე სერიოზული პოზიციები უკავიათ მომსახურებ-

[4] Шиман М.Транснациональные корпорации 21 века//Проблемы теории и практики управления. 2010. Н1. С. 21.

[5] *UNCTAD Training Manual on Statistiks fot FDI and the Operations of TNCs,Volume II. Statistiks on the Operations of Transnational Corporations. Nev York; Geneva, 2009,P.2.*

[6] Конина Н.Ю. Конкурентоспособность транснациональных компаний в условиях лобализации: автореф. дис... д-ра эк. наук. М. 2009. С.4.

[7] *World Investment Report 2011: Non-Equity Modes of International Produktions and Develipment. Nev York Geneva, 2011, p. XIV.*

ის სექტორში[7].

საზღვარგარეთულ ქვეგანყოფილებათა ეკონომიკური მაჩვენებლები გაიზარდა 2011 წელს, საქმიანობის ყველა ძირითადი სახეობის მიხედვით. წლის განმავლობაში უცხოურ ფილიალებში დასაქმებული იყო 69 მლნ-მდე მომუშავე, რომლებმაც 28 ტრლნ გაყიდვა და 7 ტრლნ დამატებული ღირებულება შექმნეს[8].

ტრანსნაციონალურ კორპორაციათა საქმიანობის მზარდი მნიშვნელობის ფაქტები 1982-დან 2007 წლამდე ნაჩვენებია 6.2. ცხრილში.

ტნკ-ს ქსელის განვითარების ტემპები 25 წლის მანძილზე (1982-დან 2007 წლამდე) შთამბეჭდავია: 3,8-(ჯერ)დან (ტნკ-ს უცხოურ ფილიალებში დასაქმებულ მომუშავეთა რაოდენობის მიხედვით) 31,2-მდე (საზღვარგარეთული აფილირებული კომპანიების საერთო აქტივების მიხედვით). ასეთი ცვლილება, უწინარეს ყოვლისა, აიხსნება მოსახლეობისა და მოხმარების ზრდის ბუნებრივი შეზღუდვებით, და წარმოების მატერიალური ბაზის რევოლუციური ცვლილებებით.

ტნკ-ს მნიშვნელობამ მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში წარმოშვა მათ განმარტებათა დიდი რაოდენობა, რომლებიც იქმნებოდა საერთაშორისო, სამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა დონეზე აკადემიური გარემოსა და ბიზნესის წარმომადგენელთა მიერ. გაერო **ტნკ**-ს განსაზღვრავს როგორც ინკორპორირებულ ან არაინკორპორირებულ კომპანიას, რომელიც საკუთარ თავში მოიცავს დედაკომპანიას (*parent enterprise*) და მის საზღვარგარეთულ განყოფილებებს (*foreign affiliates*), შვილობილ კომპანიებს (*subsidiary enterprise*), ასოცირებულ კომპანიებს (*associate enterprise*) და ფილიალებს (*branch*).

ტნკ-ში, ქცევის კოდექსის შესაბამისად გულისხმობენ „საწარმოებს დამოუკიდებლად მათი წარმოშობის ქვეყნისა და საკუთრებისა, კერძოს, საჯაროს, ან შერეულის ჩათვლით, რომელთაც განყოფილებები გააჩნიათ ორ ან მეტ ქვეყანაში, დამოუკიდებლად სამართლებრივი ფორმისა და ასეთ განყოფილებათა საქმიანობის სფეროსი, რომლებიც მოქმედებენ გადაწყვეტილებათა მიღების სისტემაში, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მას შეთანხმებული პოლიტიკა და საერთო სტრატეგია გაატაროს, გადაწყვეტილებათა მიღების ერთი ან მეტი ცენტრის მეშვეობით, რომელშიც განყოფილებები ისე არიან დაკავშირებულები საკუთრებით ან სხვა ხერხით ერთმანეთთან, რომ ერთ ან მეტ მათგანს შეუძლია არსებითი ზეგავლენა მოახდინოს სხვების საქმიანობაზე, კერძოდ, ცოდნა, რესურსები და პასუხისმგებლობა გაინაწილოს სხვებთან ერთად.”

იუნქტადის განმარტებით **ტნკ**-არის არაინკორპორირებული ან ინკორპორირებული საწარმო, რომელიც მოიცავს დიდაკომპანიას და მის საზღვარგარეთულ სტრუქტურებს. დედაკომპანია განისაზღვრება როგორც საწარმო, რომელიც აკონტროლებს სხვა ფირმების აქტივებს, სხვა ქვეყნებში, როგორც წესი, ფლობს დამოკიდებული საწარმოს განსაზღვრულ წილს.

ცნობილ ეკონომისტთა მოსაზრება **ტნკ**-ს თაობაზე არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ჯ. დანინგის განმარტებით „ტრანსეროვნული კორპორაცია წარმოადგენს საწარმოს, რომელიც ახორციელებს პირდაპირ ინვესტიციებს, ფლობს ან აკონტროლებს დამატებული ღირებულების

ცხრილი 6.2 ტნკ-ს განვითარების დინამიკა: შედარებითი მახასიათებლები 1982 და 2007წწ.[9]

მაჩვენებლები	1982	2007
ტნკ-ს საზღვარგარეთული აფილირებული კომპანიებში დასაქმებული მომუშავეთა რაოდენობა (მლნ კაცი)	21,5	81,6
საზღვარგარეთული აფილირებული კომპანიების წარმოების მოცულობები (ტრლნ დოლ.)	0,6	6,1
საზღვარგარეთული აფილირებული კომპანიების საერთო გაყიდვები (ტრლნ დოლ.)	2,7	31,2
საზღვარგარეთული აფილირებული კომპანიების საექსპორტი პროდუქციის მოცულობები (ტრლნ დოლ.)	0,7	5,7
საზღვარგარეთული აფილირებული კომპანიების საერთო აქტივები (ტრლნ დოლ.)	2,2	68,7

[8] *World Investment Report 2012:Towards a Nev Generation of Investment Policies.NeYork Geneva 2011. P. xvii.*

[9] *UNCTAD Op.cit.* P.2.

მიღების მექანიზმებს, მექანიზმებს ერთზე მეტ ქვეყანაში[10]". დ. ბლეიკი შემდეგ განმარტებას იძლევა. „ტრანსნაციონალური კორპორაციებია ისეთი ეკონომიკური საწარმოები,-რომლებიც აწარმოებენ, მოიპოვებენ, ემსახურებიან ან საფინანსოები, რომელთაც შტაბ-ბინა აქვთ ერთ ქვეყანაში, ხოლო ბიზნესის ორგანიზებას ახდენენ ერთ ან რამდენიმე უცხო ქვეყანაში".

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სუბიექტების ევოლუციის თანამედ-როვე ეტაპზე **ტნკ**-დ ითვლება მსხვილი ფირმა ან სხვადასხვა ქვეყნის ფირმათა გაერთიანება, რომელთაც აქტივები გააჩნიათ უცხოეთში და შეუძლიათ არსებითი ზეგავლენა მოახდინონ მსოფლიო ეკონომიკის რომელიმე სექტორზე. კაპიტალის გადაადგილებით მისი სიჭარბის ქვეყნიდან, მისი ნაკლებობის ქვეყანაში, **ტნკ**-ადიდებს ინვესტიციების გამოყენების ეფექტიანობას და ხელს უწყობს ერთობლივი მსოფლიო შემოსავლის ზრდას. მაგრამ შედარებით უპირატესობათა თეორია მთლად როდი ესადაგება მათი ეკონომიკური საქმიანობის ეფექტის ახსნას ორი ქვემოთმოტანილი მიზეზით.

საინვესტიციო კაპიტალი აუცილებლად როდი მიემართება მისი ჭარბად მფლობელი ქვეყნიდან, მისი სინაკლების არსებობის ქვეყანაში. მაგალითად, ლათინურ ამერიკაში და კარიბის აუზის ქვეყნებში აღინიშნა ინვესტიციების მკვეთრი ზრდა განვითარევადი აზიის **ტნკ**-ების მხრიდან, განსაკუთრებით რესურსებზე ხელმისაწვდომობის მიღებაზე ორიენ-ტირებულ პროექტებში. 2010 წელს აზიური **ტნკ**-ების დაბანდებათა მოცულობამ 20 მლრდ-ს მიაღწია, და მათზე მოდიოდა მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 60% ამ რეგიონზე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოდენამ აფრიკაში 2010 წელს 55 მლრდ დოლ. შეადგინა და 9%-ით შემცირდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოდენაში ამ კონტინენტზე დომინირებას განაგრძობდა პირველადი სექტორი, განსაკუთრებით ნავთობის მრეწველობა. სწორედ ამან განაპირობა განის ერთ-ერთ წამყვან მიმღებ ქვეყნად გახდომა, ინვესტიციების მოდენის იმავდროული შემცირებით ანგოლასა და ნიგერიაში.

მრავალ ქვეყანაში ერთდროულად შეინიშნება ორი პროცესი-კაპიტალის მოდენა, ისე გადენა. ორი საპირისპირო საინვესტიციო ნაკადი საშუალებას არ იძლევა გამოვყოთ განსახილველი ქვეყნის ან რეგიონის აშკარა შედარებითი უპირატესობები.

ეკონომისტებს შორის არსებობს პირდალირ საპირისპირო შეხედულებები **ტნკ**-ს ადგი-ლისა და როლის შესახებ უცხოური ინვესტიციების განხორციელებაში. ზოგიერთ ქვეყანაში იყო მცდელობა ყოველი **ტნკ**-ს საქმიანობა შეფასებულიყო, მაგრამ ეს მიდგომა ძალზე შრომატევადი და ძვირადღირებულია. სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე, ტნკ-ს საქმიანობის შეფასება შემდეგნაირად იგება:

1) ტნკ - ახორციელებს უცხოურ ინვესტირებას სხვა ქვეყნების ბაზარზე კონტროლის გაძლიერებისა და თავისი სეგმენტების უსაფრთხოებაში შენარჩუნების მიზნით. პრაქტიკულად ყველა **ტნკ** - ოლიგოპოლიის როლს თამაშობს და კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის დახმარებით ძირს უთხრიან თავისუფალი ვაჭრობის ფუძემდებლურ პრინციპებს, ზღუდავენ კონკურენციას, სხვა საწარმოებს არ უშვებენ მსოფლიო ბაზარზე. ასეთი შეხედულება **ტნკ**-ების საქმიანობაზე გულისხმობს, რომ მიმღები ქვეყნის მთავრობებმა უნდა შეზღუდონ და აკონტროლონ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოდენა და ფუნქციონირება, რომლებიც **ტნკ**-ებს ეკუთვნიან.

2) კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა ხელს უწყობს კაპიტალის მწარმოებლუ-რობისა და მსოფლიო მთლიანი შემოსავლის ზრდას, ამიტომ **ტნკ**-ების საქმიანობამ საყოველთაო მხარდაჭერა უნდა მიიღოს.

კომპანია-ინვესტორის თვალსაზრისით სრული კონტროლი ყოველთვის როდია ყველაზე უფრო მისაღები. საერთაშორისო მეწარმეობითი საქმიანობის ისტორია მრავალ მაგალითს ითვლის, ამასთან ერთად უმეტეს შემთხვევებში თავდაპირველი ნაწილობრივი ფლობა ყოველთვის როდი მთავრდება გამართლებული სრული შთანთქმით.

საბოლოო ჯამში დისკუსია **ტნკ**-ს „სარგებლობის და მავნეობის" შესახებ დაიყვანება პრობლემამდე, ვინ იგებს და ვინ აგებს კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობისაგან. **ტნკ**-ს ბაზირების ქვეყანა მთლიანად იგებს, იმიტომ, რომ სარგებლობები აქციების მფლობელებისათვის მეტია, ვიდრე მუშების და სხვა პირთა დანაკარგები წარმოების მოცულობათა შესაძლო შემცირებისაგან ბაზირების ქვეყანაში. მიმღები ქვეყანა მთლიანად იგებს იმიტომ, რომ მოგება მუშებისა და კატეგორიათა სხვა პირებისათვის მეტია, ვიდრე დანაკარგები მომღები ქვეყნის ნაციონალური კრედიტორებისათვის,

[10] *Даннинг Дж. ТНК укрепляют свои позиции М.: Наука, 1990. С.78.*

რომლებიც იძულებულები არიან კონკურენცია გასწიონ უცხოური ფინანსური აქტივების მოდენასთან.

ტნკ-ს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია საექსპორტო შემადგენელი. ასე, მაგალითად, თანამედროვე პერიოდში ამ კრიტერიუმით აბსოლუტური ლიდერია ბრიტანული კომპანია ბრიტიშ ამერიკან ტობაკო, რომელიც თავისი პროდუქციის 99,19%-ზე მეტის რეალიზებას ახდენს უცხოეთში, შვეიცარული ფირმა როხე გროუპი (98,81%), ამერიკული ტელესაკომუნიკაციო კორპორაცია ლიბერთი გლობალი (98,48).

თანამედროვე **ტნკ**-ების თავისებურებაა აშკარად გამოხატული ეროვნული მიკუთვნება. **ტნკ**-ების განსაკუთრებული სახესხვაობაა ტრანსეროვნული ბანკები (ტნბ), რომლებიც დასაქმებულები არიან ფულადი ანგარიშსწორების ორგანიზაციით მსოფლიო ბანკის სუბიექტებს შორის, მეწარმეობითი სტრუქტურების დაკრედიტებით და სხვადასხვა ქვეყნების მთავრობისაც კი.

მეურნეობრიონის სუბიექტების მსოფლიო ბაზარზე გამოსვლის მიზეზები ერთობ მრავალფეროვანია, მაგრამ ყველა მათგანი დაკავშირებულია მოგების მაღალი ნორმის მიღწევასთან. იგი უზრუნველიყოფა არა მხოლოდ ნაკლები დანახარჯებით წარმოების ფაქტორებზე, არამედ ასევე ტრანზაქციათა ნაკლები დანახარჯების ხარჯზე იერარქიულ სტრუქტურებზე, საბაზროსთან შედარებით.

ტრანსნაციონალურ კორპორაციათა ევოლუციამ მათი ტექნოლოგიური, ორგანიზაციუ-ლი, რესურსული და საგამსაღებლო შესაძლებლობების ისეთი გაზრდა გამოიწვია, რომელიც საშუალებას აძლევს მათ მოახდინონ თავიანთი ფუნქციების რეალიზება, რომელიც განსაზღვრავს მთლიანად მსოფლიო მეურნეობის განვითარებას:

- წარმოების რეგულირება და პროდუქციის განაწილება მსოფლიო მასშტაბით;
- ეკონომიკათა ინტერნაციონალიზაციის პროცესების გააქტიურება.

ტნკ-ს საქმიანობა საშუალებას იძლევა გადავლახოთ მრავალრიცხოვანი ბარიერები ტრანსფერტულ მიწოდებათა განხორციელების ხარჯზე საშინაო ფასების, წარმოების ხელსაყრელი პირობების, საბაზრო სიტუაციების გათვალისწინების, რესურსების ოპტიმალური გამოყენების, მოგების მიზანმიმართული განაწილების და სხვათა გამოყენების ხარჯზე.

ტნკ-ს ტიპიური სტრუქტურა ინტერნაციონალურია. ნებისმიერი **ტნკ**-ს საფუძველი საწარმოა. ტერმინი „საწარმო" აქ გულისხმობს იურიდიულ პირს, რომელიც ფუნქციონირებს ქვეყნის შიგნით, კორპორაციის შემადგენლობაში ან როგორც დამოუკიდებელი ბიზნეს-ერთეული. საწარმოები შეიძლება იმყოფებოდნენ კერძო ან სახელმწიფო საკუთრებაში, კონტროლდებოდეს კერძო ან სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ, რომლებიც რეზიდენტები ან არარეზიდენტები არიან. ისინი შეიძლება იყვნენ ფინანსური ან არაფინანსური ინსტიტუტები.

ტნკ-ები საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა ისეთივე თანაბარუფლებიანი მონაწილეები ხდებიან, როგორც საკუთრივ ბაზირების სახელმწიფოები და მიმდები ქვეყნები. როგორც შედეგი, **ტნკ**-ები რიგ შემთხვევებში მთავარი როლის თამაშს იწყებენ მსოფლიოს ნაციონალურ ეკონომიკებში. თავიანთი ფინანსური სიმძლავრის წყალობით უმსხვილესი კორპორაციები გამოდევნიან ნაციონალურ ინვესტორებს ნაციონალური ეკონომიკის ყველაზე უფრო მიმზიდველი სექტორებიდან, მკაცრ ზეწოლას ახდენენ ეროვნულ მწარმოებლებზე, ხშირ შემთხვევაში კონკურენციის არაპატიოსანი მეთოდების გამოყენებით. **ტნკ**-ები, თავისი ყოფნის გაფართოებით, თავიანთ სტანდარტებს ამკვიდრებენ არა მხოლოდ მართვის სფეროში, არამედ ზეგავლენას ახდენენ მიმდები ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ იდენტიფიკაციაზე.

მიღებული მოგების მიხედვით დომინირებენ საბანკო სექტორის **ტნკ**-ები და მრეწვე-ლობის ყველაზე უფრო მსხვილი წარმომადგენლებინავთობის გიგანტები, *Exxon Mobil* და *Royal Dutch Shell*, ასევე დივერსიფიცირებული ელექტროტექნიკური კომპანია *General Electric*.

ტნკ-ებში და მის ფილიალებში დასაქმებულ მომუშავეთა რაოდენობა მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, რომელიც ახასიათებს მისი საქმიანობის მასშტაბსა და ეფექტიანობას. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით **ტნკ**-ებში დასაქმებულია მსოფლიოში მომუშავეთა ყოველი მე-20 ადამიანი. 100 წამყვან **ტნკ**-ებში დასაქმებულია 15 მლნ-ზე მეტი მომუშავე.

მომუშავეთა რაოდენობა 2010 წელს გაიზარდა 4-ჯერ და მეტად 1982 წლიდან. ეს ლაპარაკობს როგორც **ტნკ**-ების რაოდენობის, ისე მათი ზრდის შესახებ.

განვითარებული ქვეყნების უმსხვილესი არასაფინანსო **ტნკ**-ების დარგობრივი სტრუქტურის ანალიზმა გამოავლინა, რომ **ტნკ**-ები-სამუშაო ძალის მოზიდვის ლიდერები ფუნქციონირებენ საცალო ვაჭრობაში, ელექტრონული და ელექტროტექნიკური მოწყობილობის, საავტომობილო მრეწველობასა და ტრანსპორტზე. განვითარება-

დი ქვეყნების **ტნკ**-ების გეოგრაფია მკაფიოდ ლოკალიზებულია. 100 უმსხვილესი არასაფინანსო სტრუქტურა ბაზირებულია 16 ქვეყანაში. **ტნკ**-ების ძირითადი მასა თავმოყრილია ჩინეთში (ჰონკონგისა და ტაივანის პროვინციის ჩათვლით), რუსეთში, სინგაპურში, არაბეთსა და ინდოეთში. ამ ქვეყნების წილად 100 უმსხვილესი **ტნკ**-ების სიიდან 74% მოდის. ყველაზე მეტი წილი მოდის ჰონკონგზე-18%, პროვინცია ტაივანზე-12%, რუსეთზე, ჩინეთსა და სინგაპურზე (9-9)%.

აბსოლუტურ მაჩვენებლებში განისაზღვრება **ტნკ**-ების მეცნიერული და ინოვაციური აქტიურობაც. 1990-იანი წლების დასაწყისში მსოფლიოს 400 უმსხვილესი **ტნკ**-ს მიერ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე დახარჯული სახსრების წილმა 2001 წლის დასაწყისისათვის ამ მიზნისათვის მსოფლიო ანარიცხების 23%-მდე შეადგინა.

6.3. საწარმოთა საერთაშორისო ალიანსები

ისტორიულად ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიები პარტნიორებს ქვეყანა-იმპორტიორებში ეძებდნენ ბაზრებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით. თავიანთ კონკურენტულ უპირატესობათა გასაძლიერებლად და ასევე თავისი პოზიციების გასაძლიერ-ებლად სხვა ქვეყნების ბაზრებზე, სხვადასხვა ქვეყნის ერთი ან რამდენიმე დარგის საწარმოებმა იწყეს ალიანსების შექმნა. თანამედროვე პერიოდში ალიანსები განიხილებიან როგორც საერთაშორისო თანამშრომლობის ერთერთი გავრცელებული მიმართულება,. ალიანსი წარმოადგენს დამოუკიდებელ კომპანიათა გაერთიანებას, რომლებიც ერთმანეთის ინტელექტუალური და მატერიალური რესურსების გამოყენებით, ერთობლივ საქმიანობას ახორციელებენ, ნაცვლად დამოუკიდებელი ფუნქციონირებისა ბაზარზე ანუ შერწყმის პროცედურის გატარებისა.

ალიანსში შესვლის მოტივებად, დარგებისაგან, მხარეთა კონკურენტუნარიანობისაგან და ა.შ. დამოკიდებულებით შეიძლება იყოს შემდეგი: საბაზრო წილის შენარჩუნება და გაფართოება; არსებული ბაზრების გაფართოება და გასვლა ახალ ბაზრებზე; ერთობლივი საქმიანობის გამოყენება ამ ქვეყნების ბაზრებზე შემდგომი გასვლისათვის; კომერციული საქმიანობის რაციონალური ორგანიზაცია, წარმოების უფრო ეფექტიანი ფაქტორების გამოყენება.

ალიანსში შესვლის შემთხვევაში კომპანიები იმედოვნებენ წარმოების მასშტაბის ეფექტის, ბაზრებისადმი ხელმისაწვდომობის მიღებას, პროფესიული კომპეტენციის საკითხების გადაჭრას. ამასთან ერთად ალიანსები უნდა მივიღოთ როგორც საერთაშორისო ბიზნესის ორგანიზაციის დროებითი ფორმა, რომელიც ფუნქციონირებს 5-10 წლის განმავლობაში. მათი საქმიანობის შედარებითი ხანმოკლეობა, უწინარეს ყოვლისა, აიხსნება ალიანსის მონაწილეთა ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და პოლიტიკური ინტერესების შესაბამისობის აუცილებლობით, და ასევე მათ მიერ თავიანთი ეროვნული სოციო-კულტურული განსხვავებების გათვალისწინებით.

ალიანსებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია სტრსტეგიულ ალიანსებს. ასეთ ალიანსებში გულისხმობენ საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმას, რომელთა წევრები სტრატეგიული ინვესტორები და პარტნიორები არიან[11]. სტრატეგიული ალიანსები ემყარება აქტივებში მონაწილეობას ახალი ორგანიზაციის, ფუნქციონალურ და არაფორმალურ შეთანხმებათა, სალიცენზიო შეთანხმებათა და სხვა კომერციულ მოლაპარაკებათა შექმნის გარეშე. ბ. გარეტი და პ.დიუსოჟი გვაძლევენ შემდეგ განმარტებას: სტრატეგიული ალიანსი ესაა „რამდენიმე დამოუკიდებელ საწარმოთა გაერთიანება, რომლებიც ვარაუდობენ წარმოების სპეციფიკური სახეობით დასაქმებას ან პროექტის დასრულებას, ამასთან ერთმანეთის ცოდნის, მასალების და სხვა რესურსების გამოყენებით, ნაცვლად იმისა, რომ: გაუშვან წარმოება დამოუკიდებლად, არავისთან რისკების გაყოფის და კონკურენტების დამარცხების მცდელობის გარეშე; შექმნან პირობები კომპანიათა შერწყმისა და შემოერთებისათვის”[12].

სტრატეგიული ალიანსისაგან მაქსიმალური სარგებლობის მისაღებად პოტენციურმა მონაწილემ უნდა გაიაროს რიგი მნიშვნელოვანი ეტაპები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ შემდგომი ერთობლივი საქმიანობის შედეგიანობაზე. ასეთ ეტაპებს მიეკუთვნება შემდეგი ოთხი:

1. ერთობლივი პარტნიორის შერჩევა, რომელთანაც შესაძლებელია ინფორმაციის გაცვლა ურთიერთნდობის საფუძველზე.

2. მოკავშირის შერჩევა, რომლის პროდუქცია და საბაზრო ბაზა არ კონკურირებენ საკუთარ პროდუქციასთან და სამომხმარებლო ბაზასთან.

[11] *Гриффин П., Пастей М. Международный бизнес. М.: Интер, 2006.*

[12] *Гаррет Б.,Дюссож П. Стратегические альянсы. М.: ИНФРА-М,2002. С.5.*

3.პარტნიორის წარმოების ტექნოლოგიისა და მეთოდების დაწვრილებითი შესწავლა, მათი ფასეული იდეების და მეთოდების გამოყენება საკუთარ წარმოებაში.

4.პარტნიორისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზანშეწონილობის დასაბუთება, რომელიც მნიშვნელოვანია კონკურენციის თვალსაზრისით.

სტრატეგიულ ალიანსს იგივე უპირატესობები და ნაკლოვანებები გააჩნია, რაც ანალოგიურ კლასიკურ სტრუქტურებს. მათი მონაწილეები ინარჩუნებენ იურიდიულ დამოუკიდებლობას და ავტონომიას. ისინი საერთაშორისო ან გლობალური მასშტაბის კომერციულ პრობლემათა ერთობლივი გადაჭრის გადაწყვეტილებას ღებულობენ, რომლებიც დაკავშირებულია რთული კონკურენტული სიტუაციების გადაწყვეტასთან. ამასთან ხორციელდება კონტროლი დასახული ამოცანების შესრულებაზე. სტრატეგიული ალიანსები თავიანთ საქმიანობას რამდენიმე სფეროზე ავრცელებენ. სხვა სექტორებში შესაძლებელია კონკურენცია ალიანსის მონაწილეებს შორის.

საერთაშორისო ბიზნესის თანამშრომლობასა და პარტნიორობაზე დამყარებული მეორე ორგანიზაციული ფორმაა ***ერთობლივი საწარმოები (ეს)***. ისინი წარმოადგენენ ფირმებს, რომლებიც ემყარებიან, უმეტესწილად პარიტეტულ საწყისებს ან პროგრამას, რომელშიც მონაწილეობს ორი ან მეტი ორგანიზაცია. ერთობლივ საწარმოთა შექმნის სავალდებულო პირობაა ორივე მხარის ინტერესების დამთხვევა და ერთობლივი მუშაობის ერთობლივი გამოცდილების არსებობა საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების მიხედვით. მოცემული გაერთიანების მიზეზებია:

1) რთული და ძვირადღირებული პროექტების რეალიზაცია;

2) საკმარისი გამოცდილების არარსებობა წარმატებული საქმიანობისათვის უცხოურ ბაზრებზე, ***ეს***-ში შემავალი თუნდაც ერთ-ერთი კომპანიისათვის;

3) მცირე და საშუალო ბიზნესის ფირმთა მცდელობა შეთანხმება დადონ მსხვილ კომპანიასთან ხელმისაწვდომობის მიღების მიზნით პროდუქციის განაწილების არხთან, კვალიფიციური პერსონალის მომსახურებასთან, ახალ ტექნოლოგიებთან.

ეს-ის შექმნას, როგორც წესი, წინ უძღვის კოოპერაციის საწყისი ფორმები. ამიტომ ***ეს***-ს წარმოშობა შეიძლება განვიხილოთ როგორც ხანგრძლივი საერთაშორისო წარმოებრივი კოოპერაციის შედეგი. პარტნიორებმა ***ეს***-ს მიხედვით შეიძლება ურთიერთქმედების სხვადასხვა ფორმები აირჩიონ მონაწილეთა ინტერესებზე დამოკიდებულებით და რომლებიც შეესაბამებიან სამართლის ნორმებს. ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარე ორ ფირმას შეუძლია ეცადოს უცხოურ ბაზარზე შეღწევა. უცხოურ კომპანიას შეუძლია გააერთიანოს თავისი ძალისხმევები ადგილობრივი კომპანიის ძალისხმევებთან. კომპანიებს ორი ან მეტი ქვეყნიდან შეუძლიათ ***ეს***-ს შექმნა მესამე ქვეყანაში. დაბოლოს, ეს შეიძლება შეიქმნას რომელიმე ქვეყნის კერძო კომპანიის ან სამთავრობო სტრუქტურის (სახელმწიფო ორგანიზაციის) მიერ.

ეს-ის შექმნისას დიდი მნიშვნელობა აქვს ბაზრების ქვეყნის სამართლებრივი სისტემის შესწავლას, ეკონომიკის დიაობის (გახსნილობის) ხარისხს, ქვეყანაში კაპიტალის შემოტანისა და მისგან გატანის პირობებს. მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში მიმდინარე საინტეგრაციო პროცესები უმნიშვნელოვანესი საგარეო ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს როგორც ***ეს***-ს შექმნას, ისე მისი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას.

ეს-ის შექმნისას არსებობს ერთობლივი მეწარმეობის სხვადასხვა პრობლემები: გადაწყვეტილებები ინვესტიციების, საწარმოო თანამშრომლობის, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის და მართვის ფორმის შერჩევის, საქმიანი კულტურების შეთავსებადობის შესახებ. საერთაშორისო ბიზნესის წარმართვის გავრცელებული ხერხი გახდა საერთაშორისო შერწყმები და შთანთქმები. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეს ობიექტური პროცესია, რომელიც საწარმოთა შიგადარგობრივ და დარგთაშორის კონსოლიდაციას იწვევს როგორც ერთი ქვეყნის ფარგლებში, ისე ქვეყნებს შორის. კონსოლიდაციაში იგულისხმება უფლების მიღება დამატებით მონაწილეობაზე საწესდებო კაკიტალში, დიდი კორპორაციული კონტროლის შეძენაზე. ამასთან, მონაწილეთა რაოდენობა არ იცვლება.

შეძენაში იგულისხმება კორპორაციული კონტროლის უფლებათა მიღება ცალმხრივი წესით, არსებული ორგანიზაციული ფორმის ფარგლებში. სრული შეძენის დროს სწარმოებს საწესდებო კაპიტალის ერთადერთი მონაწილის უფლებათა მიღება, სრული კონტროლი მონაწილეზე, მისი იურიდიული დამოუკიდებლობის შენარჩუნებით. ნაწილობრივი შეძენა ხასიათდება უფლებათა მიღებით დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში მონაწილეობაზე. ნაწილობრივი შეძენის ფორმები გამოიყენება ან ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ან უფრო მაღალი რანგის პროცესის შუალედურ ეტაპს წარმოად-

გენს, მათ შორის კონტროლის შეძენის ხარისხისა. მაგალითად, სწარმოებს ინტეგრაცია მონაწილეობის სახით, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ მიიღწევვა მოლა-პარაკებები შეძენის შესახებ. ეს ფორმა უკვე განხორციელებული მონაწილეობის პროცესის გათვალისწინებით შესაძლებელია კონსოლიდაციის შუალედური პროცესის ჩატარების პირობებში.

ინტეგრაციის დროს სწარმოებს შერწყმა ახლადშესაქმნელი კომპანიების ბაზაზე. შერწყმის პროცესი გულისხმობს ბაზრის ახალი მონაწილის გამოჩენას. ფირმათა შერწყმის პროცესი რეგლამენტირებულია კანონმდებლობით.

რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია, ტრანსსასაზღვრო შერწყმათა და შთანთქმების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი გახდა, როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების ძირითადი ხერხი. საკუთრების მასშტაბების გამსხვილებამ **ტნკ**-ს ფარგლებში, რომელიც შერწმებისა და შთანთქმების შედეგად მიმდინარეობდა, გამოიწვია მონოპოლიური სტრუქტურის შეცვლა, როგორც ცალკეულ დარგებში, ისე მთლიანად მსოფლიო მეურბეობაში.

თანამედროვე შერწყმებისა და შთანთქმების სპეციფიკა წარმოების ინტეგრაციის ეროვნებათაშორის ხასიათში მდგომარეობს **ტნკ-ს** ფარგლებში. შეიძინება მსხვილი გიგანტური ფირმების აქტივები, ხორციელდება კომპანია-გიგანტების შერწყმა. შერწყმები და შთანთქმები მოიცავენ სიდიდით მცირე ფირმებსაც. შერწყმებისავ და შთანთქმების ყველაზე უფრო მაღალი ინტენსიურობა შეინიშნება მრეწველობის საბაზო დარგებში: ფოლადსამსხმელოში, საავტომობილოში, ქიმიურში, ნავთობისაში, აეროკოსმოსურში, გემთსამშენებლოში და სხ. ადრეშეძენილ ფირმათა მრავალჯერადი გადაყიდვები, რომლებიც ვერ ეწერებიან სათაო კომპანიის ორგანიზაციულ სტრუქტურაში, ვერ უზრუნველყოფენ დასახულ მოგებას. სწარმოებს ტექნოლოგიურად მოძველებულ, ნაკლებეფექტიან წარმოებათა ლიკვიდაცია. საერთაშორისო შერწყმებისა და შთანთქმენის მნიშვნელოვანი ნიშანი ისაა, რომ საწარმოს ეროვნული კუთვნილების შეცვლა ხორციელდება მისი განთავსების ადგილის შეცვლის გარეშე.

იურიდიული პირების გაერთიანება იწვევს პრინციპულად ახალი სახეობის საქმიანი სტრუქტურების-მეტაკორპორაციების წარმოშობას.

მეტაკორპორაცია - ეს იურიდიულ პირთა და ორგანიზაციათა გაერთიანებაა, რომლებიც იურიდიული პირები არ არიან და აკმაყოფილებენ შემდეგ მოთხოვნებს:

1. თუნდაც ეკონომიკური აგენტების ნაწილი კომერციული ორგანიზაციებია, რომლებიც მოქმედებენ მოგების მიღების მიზნით.

2. აგენტებს შორის არსებობს სტაბილური ურთიერთკავშირები, უფრო მკაცრი, ვიდრე საბაზრო. ეს ნიშნავს, რომ ზოგიერთ არსებით ასპექტებში მთელი გაერთიანება გამოდის როგორც ერთი მთელი.

3. არსებობს გადაწყვეტილებათა მიღების სტრატეგიული ცენტრი, რომელიც შეიძლება იყოს როგორც იურიდიული პირი, ისე ფიზიკურ პირთა, მესაკუთრეთა და მენეჯერების ჯგუფი.

თითოეული ქვეყნისათვის დამახასიათებელია მეტაკორპორაციათა საკუთარი ფორმა, რომელიც ეროვნულ კანონმდებლობას ემყარება. აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში-ჰოლდინგები, იაპონიაში-სიუდანები და კეირეცუები, რუსეთში- ფინანსურ-სამრეწვეო ჯგუფები და ჰოლდინგები.

მეტაკორპორაციები ფუნქციონირებენ ეკონომიკის სხვადასხვა დარგებსა და სექტორებში, ეკონომიკური სისტემის ყველა დონეზე: რეგიონულიდან ტრანსნაციონალურამდე. თანამედროვე პერიოდში მეტაკორპორაციათა რიგი პრინციპულად ახალი ფორმა ყალიბდება. ერთ-ერთი მათგანი დაკავშირებულია შიდა მეწარმეობის განვითარებასთან და კომპანიათა დეცენტრალიზაციასთან (მსხვილი, ჰორიზონტალური კორპორაციები), სხვები-ინტერნეტ-ტექნოლოგიების განვითარებასთან (ვირტუალური წარმოებრივი მწკრივები, კვაზი-ჰოლდინგები, საპროექტო თანამეგობრობები)[13].

მეტაკორპორაციებს ყოფენ ჰოლდინგურებად და არაჰოლდინგურებად. ჰოლდინგი - ეს იურიდიული პირია, რომელიც იურიდიულ კონტროლს ახორციელებს მასში შემავალ იურიდიულ პირებზე, რომელიც ემყარება შვილობილ და დამოუკიდებელ საწარმოთა აქციების ფლობას. მეტაკორპორაციათა უმეტესობა იყენებს კონტროლის ჰოლდინგურ ფორმას-კონცერნებს და კონგლომერატებს. არაჰოლდინგური მეტაკორპორაციები უპირატესად ემყარება კონტროლის არააქციონერულ ფორმებს- შეთანხმებებს, პირად უნიას და ა.შ. უკანასკნელთა ფარგლებში რესურსებისა და მომსახურებების კონტროლის კონცენტრაცია ხორციელდება მომარაგებისა და გასაღების ცენტრალიზაციის გზით, კრედიტის დახმარებით კოორდინაციის დახმარებით, სადაზღვევო და ლიზინგური მომსახურების, საინფორმაციო რესურსებისადმი და უახლესი ტექნოლოგიებისადმი ხელმისაწვდომობის რეგულირების მეშვეობით.

[13] *Мовсесян А.Г. Транснационализация в мировой экономике. М.: ФА при Правительстве РФ, 2011. С. 70.*

საკონტროლო კითხვები და დავალებები

1. შეადარეთ ტრანსნაციონალურ კორპორაციათა განმარტებები. დაფიქრდით, რით არის გამოწვეული სხვადასხვა მახასიათებელთა არსებობა.

2. გახსენით ცნებების: ალიანსი, სტრატეგიული ალიანსი, ერთობლივი საწარმო, შერწყმა და შთანთქმა, მეტაკორპორაციას შინაარსი.

3. რა იგულისხმება კორპორაციათა არამეგობრულ შთანთქმაში.

4. გახსენით ჰოლდინგური და არაჰოლდინგური ტიპის მეტაკორპორაციათა ეკონომიკური არსი.

5. უჩვენეთ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენა საერთაშორისო შერწყმებისა და შთანთქმების პროცესებზე.

6. *World Investment Report* (1990-2012)-ის საფუძველზე გამოავლინეთ ქვეყნის **ტნკ**-ების ზეგავლენის დინამიკა.

7. *World Investment Report* (1990-2012)-ის საფუძველზე გამოავლინეთ 100 უმსხვილესი არასაფინანსო **ტნკ**-ების ქვეყნიური და დარგობრივი სტრუქტურა. კომენტარი გაუკეთეთ ცვლილებებს.

8. კონკრეტული კორპორაციის მაგალითზე გააანალიზეთ მონაწილეთა შემადგენლობაში მიმდინარე ცვლილებები.

9. გააკეთეთ დასკვნები GM-ის აღმოცენებად და შეწყვეტილ ალიანსებზე ერთობლივ საწარმოთა ორგანიზაციის პროცესში.